საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

19/06/2025 N 112

თბილისი

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტის“ (ს/ნ: 405214726) საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 31^1 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების, „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საბროკერო კომპანიის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ გამოცხადების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 თებერვლის №49/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის საფუძველზე:

1. შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტს“ (ს/ნ: 405214726) გაუუქმდეს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია და დაიწყოს მისი ლიკვიდაციის პროცესი;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტისათვის“ საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 დეკემბრის №154 განკარგულება;
3. შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტის“ ლიკვიდატორად დაინიშნოს როინ ცაციაშვილი (პ/ნ 01036002403);
4. აღნიშნული განკარგულება გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.nbg.gov.ge) და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge) დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მისი გამოცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

5. აღნიშნული განკარგულება, მისი გამოცემის დღეს, რეგისტრაციის მიზნით წარედგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს;
6. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
7. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი